შენთვის, საყვარელო დედასამშობლოვ!

XXIV

ენგურჰესი საქართველოს დიდი მშენებლობა!

50

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ნოემბერი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 257 (14861)

გიგანტი

თაღოვანი კაშხალი ენგურჰესის ერთ-ერთი მთავარი და უნიკალური მშენებლობაა. 271,5 მეტრი სიმაღლის კაშხალის სამუშაოები რომ გაშლილიყო, საჭირო შეიქნა მდინარე ენგურის ახალ კალაპოტში გადაყვანა. ამისათვის გაიჭრა სამშენებლო გვირაბი, რომლის სიგრძე ნახევარ კილომეტრზე მეტია. ახლა მშენებლები ნაენგურალზე კაშხალის ქვაბულში მუშაობენ.

თაღოვანი კაშხალის ასაგებად საჭიროა 3.800 ათასი კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონი. ენგურჰესის მშენებლები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ მაღალხარისხოვნად დაამთავრონ მიწისა და კლდის სამუშაოები და დროზე დაიწყონ ამ უზარმაზარი ქვაბულის რიტმული და უწყვეტი დაბეტონება.

სურათზე: ენგურჰესის თაღოვანი კაშხალმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ჯ. ბურჯალიანი ხელმძღვანელობს (მარცხნიდან მეოთხე), და ბრიგადის წევრები დ. სიჭინავა, ა. მიქავა, ვ. მესხია, თ. აფენდულოვი, პ. სამარჩევი, ი. მიქავა და პ. იარცევი.

ფოტო ს. კილაძისა.



„კომუნისტის“ მკითხველებს

ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველებო!

უეჭველია, ბევრი რამ გსმენიათ და წაგიკითხავთ საქართველოს უდიდესი მშენებლობის, ჩვენი რესპუბლიკის სიამაყის — „ენგურჰესის“ შესახებ. თქვენ ალბათ იცით, რომ თაღოვანი კაშხალი, რომელმაც გზა უნდა გადაუღობოს ენგურს და სვანეთის მთებში ზღვა დააგუბოს, 271,5 მეტრი — მეოთხედ კილომეტრზე დიდად მეტი სიმაღლისა უნდა იყოს, ხოლო ელექტროენერგია, რომელსაც ეს მძლავრი ჰიდროელექტროსადგური გამოიმუშავებს, ორმოცდახუთჯერ დიდი იქნება ვიდრე ზაჰესისა. მისმა სიმძლავრემ ორჯერ უნდა გადაამეტოს საქართველოში ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგურის ენერგიას.

გვირაბი, რომლითაც ენგური ძალოვან კაშხალამდე უნდა მივიდეს, მეტად რთული მიწისქვეშა ნაგებობა იქნება. ასევე რთული ნაგებობა იქნება მიწისქვეშა სადგური თავისი ტურბინებითა და გენერატორებით, თავისი დარბაზებითა და მექანიზმებით.

გარდა ძალოვანი კაშხალისა, მთის გვირაბიდან გამოსული ენგური კიდევ რამდენიმე ელექტროსადგურს აამუშავებს და ისე შეერთვის შავ ზღვას.

ამრიგად ენგურის ენერგია, მისი დაუშრეტელი და უხვი ძალა სინათლისა მოხმარდება საბჭოთა ადამიანს, მისი დიადი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების მძლავრ აღმავლობას.

ამ მშენებლობაზე ამჟამად თორმეტი ათასამდე კაცი მუშაობს. ესენი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები—ინჟინრები, ტექნიკოსები, მექანიზატორები, ოსტატები, რიგითი მუშები, ჩვენი სამშობლოს დიად მშენებლობებზე გაჭაღარავებულნი და ჯომკავშირის საგზურით აქ მოსული ახალგაზრდები. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა დაძლიონ ყოველგვარი სიძნელე, დაბრკოლება, მტკიცედ შეუტიონ მთას, კლდესა და მდინარეს, სრულყოფილად გამოიყენონ მაღალი წარმადობის მძლავრი მანქანები და ღირსეულად შეასრულონ სამშობლოს დავალება — გამარჯვებულნი გამოვიდნენ პარტიის XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დღეს ვაქვეყნებთ ხუთწლედის ამ დიადი მშენებლობის სახელოვან ადამიანთა წერილებს. თქვენ ამ სტატიებში ნახავთ როგორც ამ მშენებლობის გრანდიოზულობას, ისე იმ ადამიანთა მამაცურ შრომას, რომლებიც ასე ვაჟკაცურად იმორჩილებენ დაუდეგარ ენგურს, ასე გმირულად უტევენ მთებსა და კლდეებს, ასე გონივრულად მართავენ რთულ და უზარმაზარ მანქანებს.

ამ დიად მშენებლობაზე — ცადაზიდულ სვანეთის მთებიდან — შავ ზღვამდე ადამიანების, მანქანების, მდინარისა და მთების ჭიდილში უნდა დაიბადოს ხუთწლედის პირმშო — ენგურჰესის დიდი სინათლე.

დიადი სინათლე

„კომუნისტის“ მკითხველებს

უდმურტეთის ასსრ 50 წლისაა

ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულმხურვალედ ულოცავენ უდმურტეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა შრომელთ ღირსშესანიშნავ თარიღს — უდმურტეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ორმოცდაათ წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ნათქვამია მისალმებაში, ძირეულად შეცვალა უდმურტი ხალხის ბედი, მოუტანა მას განთავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, დაუსახა ფართო შესაძლებლობანი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად უდმურტეთის შრომელებმა ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლეს. ისინი აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თავდადებით შრომობდნენ პირველი ხუთწლედების პერიოდში, გმოჩინდნენ მამაცობა და გმირობა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და ახლა თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

განვლილ ნახევარ საუკუნეში უდმურტეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ოჯახისა და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხთა ძმური დახმარების მეოხებით დაძლიეს ჩამორჩენილობა და სიღატაკე, მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. უდმურტეთი გადაიქცა მაღალგანვითარებული მრეწველობის, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. საბჭოთა უდმურტეთის ინდუსტრიულ სახეს დღის განსაზღვრავენ ისეთი წამყვანი დარგები, როგორიც არის მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, აგრეთვე განვითარებადი ავტომობილმშენებლობა და ნავთობმოპოვება. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით აუმჯობესებენ მოწამთმოქმედების კულტურას, ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, მარცვლეულის, ბორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებას.

ფართოდ განვითარდა განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, გაიზარდნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები. განუხრელად უმჯობესდება ხალხის კულტურა და მატერიალური კეთილდღეობა.

უდმურტეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები, მათი მატერიალური და სულიერი ცხოვრების გაფურჩქვნა გულწრფელად ახარებს ყველა საბჭოთა ადამიანს, თვალნათლივ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და ხალხმეურნეობრივი წყობილების, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ უდმურტეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს თავგრობის მაღალ ჯილდოს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ყველავე დაუცხრომლად იბრძოლებენ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, საზოგადოებრივი წარმოების იფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მოიპოვებენ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXIV ყრილობას. (საკდესი).

გამგზავრება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა

2 ნოემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნგუენ �ვანის მეთაურობით. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა ორიგე ქვეყნის შორის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე. გარდა მოსკოვისა, სტუმრები იყვნენ ლენინგრადში, მინსკსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში, ესტუმრნენ საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, გაეცნენ საბჭოთა ხალხის მიღწევებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. დელეგაციის ყველანი დაბრუნდნენ, მეგობრულად იღებდნენ. (საკდესი).

მიეძღვნა ფ. ენგელსს

„ფ. ენგელსი და რეალიზმის თანამედროვე პრობლემები“ — იყო თემა სამეცნიერო სესიისა, რომელიც მიეძღვნა ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავს და რომელიც დაიწყო 2 ნოემბერს რუსული ენის ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში.

სესიაზე მოისმინენ და განიხილავენ მოხსენებებს „ფ. ენგელსი და ტენდენციის პრობლემა ლიტერატურაში“, „აღორძინების ეპოქის ლიტერატურის პრობლემა ფ. ენგელსის ნაშრომებში“, „ფ. ენგელსი და განათლების კულტურა“, „ფ. ენგელსის ესთეტიკურ შეხედულებათა ფასიფიკაციის წინაალმდეგ“ და სხვ.

(საკდესის კორ.).

უდმურტეთის ასსრ დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით

კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და უდმურტეთის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უდმურტეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. (საკდესი).

მშენებლობის ხარისხის

მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ეს, კერძოდ, აისახა მთელ რიგ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში, რომელთა განუხრელი შესრულება სამშენებლო წარმოებისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ახლოვდებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა შეასრულეს სამრეწველო, ენერგეტიკული და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის დიდი სამუშაოები. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 1966-1970 წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 3,5 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ე. ი. 53 პროცენტით გადიდდა წინა ხუთწლედთან შედარებით

მშენებლობის დაჩქარებული ტემპის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა თათბირი. რომელიც 2 ნოემბერს გაიმართა თბილისში რკინიგზელის სახლში. თათბირის მოწყობის ინიციატორები იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სამშენებლო, ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი.

თათბირზე მოწვეული იყვნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირი შესავლი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარემ ი. ნ. ციციშვილმა.

მოხსენებანი წაიკითხეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. მ. ლაბახუამ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ნ. ციციშვილმა, საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ს. ზაპარიევმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ბ. ს. ბაშაკიძემ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა შ. მ. თამარაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსმა ა. ბ. ბანგიამ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ლ. ჭარდიშვილმა.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ი. ნ. ჩხენკელი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ა. ანდრონიკაშვილი, „თბილისმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ჭელიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შ. ა. ჯაბუა, თბილისის საექსპერიმენტო დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. ბ. თუხარელი, „თბილისმშენის“ უფროსი ბ. ს. შენგელია, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორი ა. ზ. ლომინაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის ლაბორატორიის უფროსი ი. მ. ოვადოვსკი.

მოხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა, აღნიშნეს რა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ამ ბოლო დროს მიღწეული გარკვეული წარმატებანი, შეარჩიეთ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებს. მათ თქვეს, რომ სამშენებლო ობიექტებზე არის არასარისხოვანი მასალებისა და ნაწარმის გაგზავნის შემთხვევები, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაბალი ხარისხის, სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების დარღვევების ფაქტები. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საპროექტო დოკუმენტაციებში უშვებენ შეცდომებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ხარისხის კონტროლის სისტემა. ნაკლებ ეფექტიანია შემკვეთთა, ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიებისა და განყოფილებების საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობა. სათანადო ყურადღება არ ეთმობა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას, მშენებლთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას, შრომის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლთა მიღწევაში.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებში მუშაობენ მშენებლობის საქმის შესანიშნავი ოსტატები — მუშები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მაგრამ ყველა მშენებელი კეთილსინდისიერად რიდი ეკიდება დაკისრებულ საქმეს. ბევრი მათგანი ქმნის დაბალი ხარისხის პროდუქციას, ობიექტებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ბევრი დაუმთავრებელი დეტალით, დეფექტებით და არ შრუნავენ მათი დროულად აღმოფხვრისათვის.

სამშენებლო ინდუსტრიის ბევრი საწარმო უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხპაკაიამ.

თათბირის მონაწილეებმა, ყოველმხრივ განიხილეს რა კაპიტალური მშენებლობის ხარისხის საკითხები, მიიღეს რეკომენდაციები მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა, საპროექტო დოკუმენტაციებში უშვებენ შეცდომებს.

ითბირზე მოწვეული იყვნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირი შესავლი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარემ ი. ნ. ციციშვილმა.

მოხსენებანი წაიკითხეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. მ. ლაბახუამ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ნ. ციციშვილმა, საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ს. ზაპარიევმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ბ. ს. ბაშაკიძემ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა შ. მ. თამარაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსმა ა. ბ. ბანგიამ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ლ. ჭარდიშვილმა.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ი. ნ. ჩხენკელი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ა. ანდრონიკაშვილი, „თბილისმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ჭელიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შ. ა. ჯაბუა, თბილისის საექსპერიმენტო დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. ბ. თუხარელი, „თბილისმშენის“ უფროსი ბ. ს. შენგელია, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორი ა. ზ. ლომინაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის ლაბორატორიის უფროსი ი. მ. ოვადოვსკი.

მოხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა, აღნიშნეს რა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ამ ბოლო დროს მიღწეული გარკვეული წარმატებანი, შეარჩიეთ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებს. მათ თქვეს, რომ სამშენებლო ობიექტებზე არის არასარისხოვანი მასალებისა და ნაწარმის გაგზავნის შემთხვევები, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაბალი ხარისხის, სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების დარღვევების ფაქტები. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საპროექტო დოკუმენტაციებში უშვებენ შეცდომებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ხარისხის კონტროლის სისტემა. ნაკლებ ეფექტიანია შემკვეთთა, ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიებისა და განყოფილებების საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობა. სათანადო ყურადღება არ ეთმობა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას, მშენებლთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას, შრომის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლთა მიღწევაში.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებში მუშაობენ მშენებლობის საქმის შესანიშნავი ოსტატები — მუშები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მაგრამ ყველა მშენებელი კეთილსინდისიერად რიდი ეკიდება დაკისრებულ საქმეს. ბევრი მათგანი ქმნის დაბალი ხარისხის პროდუქციას, ობიექტებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ბევრი დაუმთავრებელი დეტალით, დეფექტებით და არ შრუნავენ მათი დროულად აღმოფხვრისათვის.

სამშენებლო ინდუსტრიის ბევრი საწარმო უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხპაკაიამ.

თათბირის მონაწილეებმა, ყოველმხრივ განიხილეს რა კაპიტალური მშენებლობის ხარისხის საკითხები, მიიღეს რეკომენდაციები მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა, საპროექტო დოკუმენტაციებში უშვებენ შეცდომებს.

მშენებლობის ყველა ძალა

მშენებელთა თათბირზე

ბლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორმა ბ. ს. ზაპარიევმა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ბ. ს. ბაშაკიძემ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა შ. მ. თამარაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს უფროსმა ა. ბ. ბანგიამ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. ლ. ჭარდიშვილმა.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ი. ნ. ჩხენკელი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ა. ანდრონიკაშვილი, „თბილისმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ჭელიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შ. ა. ჯაბუა, თბილისის საექსპერიმენტო დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ი. ბ. თუხარელი, „თბილისმშენის“ უფროსი ბ. ს. შენგელია, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის დირექტორი ა. ზ. ლომინაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის ლაბორატორიის უფროსი ი. მ. ოვადოვსკი.

მოხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა, აღნიშნეს რა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ამ ბოლო დროს მიღწეული გარკვეული წარმატებანი, შეარჩიეთ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს არსებულ ნაკლოვანებებს. მათ თქვეს, რომ სამშენებლო ობიექტებზე არის არასარისხოვანი მასალებისა და ნაწარმის გაგზავნის შემთხვევები, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაბალი ხარისხის, სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების დარღვევების ფაქტები. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საპროექტო დოკუმენტაციებში უშვებენ შეცდომებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ხარისხის კონტროლის სისტემა. ნაკლებ ეფექტიანია შემკვეთთა, ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიებისა და განყოფილებების საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის საქმიანობა. სათანადო ყურადღება არ ეთმობა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას, მშენებლთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას, შრომის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლთა მიღწევაში.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებში მუშაობენ მშენებლობის საქმის შესანიშნავი ოსტატები — მუშები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მაგრამ ყველა მშენებელი კეთილსინდისიერად რიდი ეკიდება დაკისრებულ საქმეს. ბევრი მათგანი ქმნის დაბალი ხარისხის პროდუქციას, ობიექტებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ბევრი დაუმთავრებელი დეტალით, დეფექტებით და არ შრუნავენ მათი დროულად აღმოფხვრისათვის.

სამშენებლო ინდუსტრიის ბევრი საწარმო უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხპაკაიამ.

თათბირის მონაწილეებმა, ყოველმხრივ განიხილეს რა კაპიტალური მშენებლობის ხარისხის საკითხები, მიიღეს რეკომენდაციები მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა, საპროექტო დოკუმენტაციებში უშვებენ შეცდომებს.

დროშა—ამერიკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებს

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ერთობლივ სხდომაზე განიხილეს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1970 წლის მესამე კვარტალის შედეგები.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს ამერკავკასიის მაგისტრალის მშრომელებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. მათ ვადაზე 12 დღით ადრე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვის კვარტალური დავალება და მოიპოვეს პირველი ადგილი და სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ასეთივე ჯილდო ხვდა წილად ამერკავკასიის რკინიგზის ერეგნის განყოფილების კოლექტივსაც.

ამერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის, სამტრედიის სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციისა და ბათუმის საბარგო სადგურის კოლექტივებმა მეიღეს სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მესამე ფუდადი პრემიები. (საკდესი).



სურათზე: აქ აიგება ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი.

ენგური — სინათლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვანგარდში

ენგურჰესის სახელოვანი მშენებლები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, დიდი პოლიტიკური და უმაგალითო შრომითი აღმავლობის ვითარებაში გგეგმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. მშენებელთა შრომით პათოსს ისიც აძლიერებს, რომ მალე ეს ენერგომშენებლები იზეიმებენ პირველ დიდ გამარჯვებას — მწყობრში ჩადგება ვარდნილჰეს № 1-ის ტურბინი — ენგურჰესის კასკადის პირმშო.

ენგურჰესის მშენებლობის მრავალთასიანი და მრავალეროვანი კოლექტივი, მისი მოწინავე რაზმი — კომუნისტები ღირსეულად ასრულებენ დიდ სახალხო საქმეს. ახლა, როცა მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შედის, პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ენგურჰესის ოვითეული მშენებლის წინაშე დიდი ამოცანები დგას — ვადამდე შეასრულონ სახელმწიფო დავალებანი, ზუსტად, გრაფიკის მიხედვით შეიყვანონ მწყობრში გახაშვები ობიექტები.

ენგურჰესის მშენებელთა წარმატებები ძირითადად განპირობებულია პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და კომუნისტთა აქტივობის ამაღლებით, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებით. მშენებელ კომუნისტთა 1200-იანი არმია შრომის ფრონტის წინა ხაზზეა. იქ, სადაც სიძნელეები თავს იჩენს, კომუნისტები პარტიოტულ ერთსულოვნებას ავლენენ და შრომის ავანგარდში დგებიან.

ყველა მშენებლობასა და სამრეწველო საწარმოს აქვს თავისი ძირითადი და გადამწყვეტი უბანი, საიუკნეოდ გადატანილია სიმძიმის ცენტრი. ამჟამად ასეთი უბანი ენგურჰესზე „ვარდნილჰესების სამშენებლო სამმართველოა, სადაც ორმა აგრეგატმა სულ მალე უნდა მიიღოს ცხოვრების საგზური და პირველი ენერგია მისცეს დედასამშობლოს. ამ სამმართველოს კომუნისტები თავდადებით იბრძვიან მტკიცე პასუხსაგები ამოცანის გადასაჭრელად.

პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმებზე, აქტივის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განვიხილავთ მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ვისმენთ სამმართველოთა უფროსების, პარტორგანიზაციების მდივნებისა და ცალკეული კომუნისტების ანგარიშებს. უფრო მეტ პრაქტიკულ დახმარებას ვუწევთ მშენებლობის პარტკომს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში. საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაკები რეგულარულად არიან სამშენებლო სამმართველოებში, უბნებში, ეცნობიან და ხელს ეხმარებიან მშენებელთა საქმიანობას. შემჩნეულ ნაკლოვანებებზე იღებენ ოპერატიულ ზომებს, ეხმარებიან მშენებლებს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში, შრომის საუკეთესო ორგანიზაციის ფორმების დანერგვაში, მიღებული დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციის მოწყობაში.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან უბნის უფროსები — კომუნისტები მ. ჭაკვა, რ. დგებუაძე, ა. ნესსაძე, რ. ყავლაშვილი, ვ. ჭარბაძე, ვ. მიქავა, ა. ზვიადაძე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელები: გ. ჭიჭინაძე, ვ. პოპოვი, ვ. ნემსიწვერიძე, ს. ბეგლაშვილი, ი. სიგუა, ო. ბობოხიძე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ხალმატოვი, კომკავშირულ - ახალგაზრდულ ბრიგადის ხელმძღვანელი ს. მაზუჩარაშვილი, ცვლის ბრიგადირი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბაკელია და სხვები.

1961 წლიდან ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობს ლენინის ორდენოსანი კომუნისტი ოთარ ბლიაძე. იგი სათავეში უდგას კომუნისტური შრომის ბრიგადას. ო. ბლიაძის საქმიანობა ყველაზე საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდა მშენებლებისათვის. ენგურჰესის მშენებლობის წინა ხაზზე, მის გადამწყვეტ უბნებზე თავდადებული შრომით მრავალათასიანი კოლექტივის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ კომუნისტები, გვირაბგამყვანები ვ. ღვინჭილია და მ. კვეკვეხკირი, ამფეთქებლები ვ. შალამბერიძე და ი. კარგეზოვი, მებეტონე ვ. გვენცაძე, მეექსკავატორე ნ. კოპეიკინი, მებულდოზერე ვ. ქეცბაია და სხვები. ეი ეს ადამიანები, რომელთა თავდადებული და ნაყოფიერი შრომით მდინარე ენგურზე აღიმართება ქართული ჰიდროშენებლობის სიამაყე.

ენგურჰესის მშენებლობა მძლავრი ინტერნაციონალური ოჯახია. ერთმანეთის მხარდამხარ მეგობრულად შრომობენ ქართველები და რუსები, უკრაინელები და სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები — ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვა წარმომადგენლები.

კომკავშირის საგზურებით ათობით და ასობით ახალგაზრდა ჩამოდის ჩვენს მშენებლობაზე. ბევრი მათგანი თავდადებით შრომობს, ქმნის ოჯახს, იღებს ენგურჰესის სახელოვანი მშენებლის პასპორტს.

ენგურჰესის მშენებლობის მიმდინარეობით სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული მეზობელი გალის, მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდის და სხვა რაიონების მშრომელები, მისი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივი. ამ რაიონების ტერიტორიაზე არის გაშლილი ენგურჰესის მშენებლობა. მეზობელი რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად განვიხილავთ მშენებლობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს. ზედმეტი მეურვეობის გარეშე კოლექტიურად ვეხმარებით ჩვენს სახელოვან ჰიდრომშენებლებს მათ წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ენგურჰესის მშენებლობის მრავალათასიანი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი ინჟინერი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ნ. ესაკია, მისი მრავალრიცხოვანი და მებრძოლი პარტიული ორგანიზაცია (პარტკომის მდივანი გ. გუნავა) დარსეული შრომითი საჩუქრებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის სახელოვან 50 წლისთავს.

ა. ქირია,

საქართველოს კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

დიდი ჩიტალღნის კონკურსები



ენგურჰესის მშენებლობა დიდი მოვლენაა საქართველოს სახალხო მეურნეობაში. ამიტომაც არის, რომ მასში თითქმის მთელი რესპუბლიკა იღებს მონაწილეობას. ჩვენს ხალხს კარგად ესმის ენგურჰესის მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ იგი იაფ ელექტროენერგიას მიაწვდის სახალხო მეურნეობას, ამასთან გადაჭრის მეორე დიდ საკითხსაც: მდინარეების ენგურისა და ერისწყლის ქვემო დინებაში ამოაშრობს და მორწყავს 1.700 ჰექტარ სუბტროპიკული კულტურებისათვის საჭირო მიწას.

რესპუბლიკის ამ ენერგეტიკული გიგანტის მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. როცა დამთავრდება, თავისი სიმძლავრით 45-ჯერ გადაამეტებს საქართველოს პირველ ჰიდროელექტროსადგურს — ზაჰესს, ხოლო 5-ჯერ და მეტად — უკანასკნელ ხანს აგებულ ელექტროსადგურებს სრამეხეს-I-ს, სრამეხეს-II-ს და ლაჯანურჰესს ერთად აღებულს. ენგურჰესის საერთო დადგმული სიმძლავრე 1.640 ათასი კილოვატი იქნება, ე. ი. 2-ჯერ მეტი, ვიდრე რესპუბლიკის ამჟამად მომუშავე თერმოსადგურებ ჰიდროკვანძი ენერგოგიგანტი წელიწადში საშუალოდ გამოიმუშავებს 5.460 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, 2-ჯერ მეტს, ვიდრე საქართველოს ყველა ელექტროსადგური. ენგურჰესის სიდიადე უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, კიდევ რამდენიმე მაგალითის მოვიყვანთ: თაღოვანი კაშხალის ძირითადი კვანძის წყალსაცავი 1 მილიარდ 100 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს, ხოლო ვარდნილჰესების წყალსაცავის მოცულობა 140 მილიონი კუბური მეტრი იქნება. ამრიგად, ენგურჰესი რთული და სერიოზული ობიექტია. მსოფლიოში უნიკალურ ნაგებობად ითვლება მისი თაღოვანი კაშხალი რომლის სიმაღლე 271,5 მეტრია. მის ასაგებად იხარჯება 3.800 ათასი კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონი! ასეთი გიგანტის მშენებლობა, რომელიც მსოფლიოში პირველად ხორციელდება, ჩვენი სახელოვანი ჰიდრომშენებლებისაგან ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დამპროექტებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს აქამდე არასდროს შეუქმნიათ ისეთი რთული ობიექტის დოკუმენტაცია, როგორიც ენგურის კაშხალია, მთ მაინც ძირითადად დაამაგრეს მისი საპროექტო სამუშაოები და იტალიიდან ჩამოსული გამოცდილი ჰიდროტექნიკოსების დიდი შეფასებაც დაიმსახურეს. ეს დიდი საქმეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თაღოვანი კაშხალია ასაგებად განსაკუთრებით მტკიცე სამშენებლო მასალების შერჩევა იყო საჭირო. საბჭოთა სპეციალისტებმა ეს საკითხიც დადებითად გადაჭრეს. მაგალითად, ცემენტის შესაქ�, რომლისანაც სამშენებლო ბეტონი უნდა დამზადდეს, ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის (თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის) სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები მუშაობდნენ. დიდი ცდების შემდეგ შეიქმნა ცემენტი, რომელიც განსაკუთრებით სიმტკიცით გამოირჩევა. ერთი სიტყვით, დამპროექტებლებმა ყველა დეტალი გაითვალისწინეს, რომ უნიკალური კაშხალი მკვიდრად და მტკიცედ აიგოს: ახლა ჯერ მშენებლებზეა, რომელთა განკარგულებაშია სამეტონო მეურნეობის რთული კომპლექსი. თუმცა მისი შემდგომი განვითარება კვლავ გრძელდება. პროექტით უნდა აიგოს ბეტონის გამამიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 1 მილიონ კუბურ მეტრ სასაქონლო ბეტონს გამოუშვებს, განუწყვეტელი მოქმედების ბეტონის ქარხანა (მისი სიმძლავრე საათში 300 ათასი კუბური მეტრი ბეტონი იქნება), ცალკული მოქმედების ბეტონის ქარხანა, სპეციალური ცემენტის ელევატორი და სხვ.

ენგურჰესის ძირითად ნაგებობათა შორის დიდი ადგილი უჭირავს სადერივაციო და გადასაგდები გვირაბების მშენებლობას. ამ გვირაბების საერთო სიგრძე 18 კილომეტრია. ძირითად ნაგებობად ითვლება აგრეთვე მძლავრი მიწისქვეშა ელექტროსადგური. ამ ობიექტების მშენებლობა განსაკუთრებით რთულ ჰიდროგეოლოგიურ პირობებში მიმდინარეობს. სადაწნეო გვირაბი, რომლის დიამეტრი 9,5 მეტრი, ხოლო სიგრძე 15 კილომეტრია, კვეთს მდინარეებს ოფორსა და ერისწყალს, რომლებიც მას 7 მეტრის დიამეტრის მქონე ლითონის წყალგამტვები ნაგებობებით უკავშირდებიან. სადერივაციო გვირაბის ბოლოს გათვალისწინებულია აიკოს ე. წ. წყლის დონის მარეგულირებელი რეზერვუარი, რომელიც 64,5 ათას კუბურ მეტრ წყალს დაიტევს. აქვე აგებს ლითონის 5 საატრბინო-სადაწნეო წყალგამტარი, რომელთა სიგრძე 666 მეტრი იქნება. ამ წყალგამტართა ბოლოს დაიდგმება სადაწნეო ჩამკეტი ნაგებობანი. ლითონის საატრბინო-სადაწნეო წყალგამტარები წყალს მიაწვდიან მიწისქვეშა ელექტროსადგურს, სადაც დამონტაჟდება 5 ვერტიკალური აგრეგატი; თვითეული მათგანის დადგმული სიმძლავრე 260 ათასი კილოვატი, ხოლო საერთო სიმძლავრე 1.300 ათასი კილოვატი იქნება.

მიწისქვეშა ელექტროსადგურიდან გამოსული წყალი „მდორე" წყალგამტარი გვირაბით, რომლის სიგრძე სამი კილომეტრია, შეუერთდება გალის წყალსაცავს, ეს წყალსაცავი მდინარე ერისწყალზე იგება. მდინარეს გზას უკეთებს ქვა-ღორღის დიდი კაშხალი. სწორედ ამ კაშხალთან გაიმართება № 1 ჰიდროელექტროსადგურის მეორე საფეხური, სადაც დაიდგმება სამი ვერტიკალური აგრეგატი, თვითეული 73,3 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. ამრიგად, № 1 ჰესის საერთო დადგმული სიმძლავრე 222 ათასი კილოვატი იქნება.

№ 1 ჰიდროელექტროსადგურიდან გამოსული წყალი ზღვისაკენ ღია არხით წავა. არხის სიგრძე 22,5 კილომეტრია. სწორედ ამ არხზე იგება სამი ერთნაირი ჰიდროელექტროსადგური. თვითეულ მათგანს ექნება ორ-ორი ვერტიკალური აგრეგატი, რომელთა საერთო სიმძლავრე 120 ათასი კილოვატი იქნება.

ენგურჰესის მთელი მრავალათასიანი კოლექტივი ამაყობს, რომ წლად ხედა დიდი პატივი — ააგოს ეს ჰიდროგიგანტი, რომელიც უნიკალურია თანამედროვე მსოფლიო ჰიდროშენებლობის პრაქტიკაში, ისევი რა ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა, მშენებლები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ წარმატებით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალება. ისინი ამ საქმეში გრძნობენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიურ დახმარებას, სწორედ ამ ზრუნვის შედეგი იყო ის, რომ 1969 წლის მეორე ნახევარში მშენებლებმა მივიღეთ ათობით მძიმეწონიანი ვიბროსაცლელი მანქანა, ბულდოზერი, ექსკავატორი. ამან საშუალება მოგვცა დიდი გარდატეხა შეგვეტანა მშენებლობაში. შარშან აღებული მაღალი ტემპი წელსაც შეგვინარჩუნეთ. ცხრა თვეში საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 125,3 პროცენტით შესრულდა. დავალებას გადაჭარბა ყველა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციამ. ეი ის მოწინავე სამშენებლო კოლექტივები, რომლებმაც 1 ოქტომბრისათვის უკვე წლიური დავალების შესრულება გეიპატაკეს: ვარდნილჰესების სამმართველო (უფროსი თ. ჩუბინიძე, მთავარი ინჟინერი ლ. ჭინჭარაული, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ბიბლაია) — 125 პროცენტით, კაშხალმშენის სამმართველო (უფროსი მ. ეგრალიძე, მთავარი ინჟინერი ნ. ეგუხვარი, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ნენსიწვერიძე) — 129,2 პროცენტით, გვირაბმშენის სამმართველო (უფროსი გ. წულეისკირი, მთავარი ინჟინერი გ. გელდიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ხ. ახვლედიანი) — 111,9 პროცენტით, ძალოვანი კვანძის სამმართველო (უფროსი ა. ცინობილაძე, მთავარი ინჟინერი უ. გოჯიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. კუცია) — 110,2 პროცენტით, მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველო (უფროსი ა. დიკოვი, მთავარი ინჟინერი ო. კაკულავი, პარტორგანიზაციის მდივანი ც. წულაია) — 142 პროცენტით, ტრესტ „სპეცჰიდროენერგომონტაჟის" ხაშურის ნაწილი (უფროსი ე. ზაიცევი, მთავარი ინჟინერი გ. კოკინაკოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. დვორიაკი) — 117,3 პროცენტით. სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო (უფროსი დ. ხუფენია, მთავარი ინჟინერი დ. დგიბუაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ქობალია) — 113.6 პროცენტით, ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის" სამშენებლო უბანი (უფროსი ა. გიორგობიანი) — 106,9 პროცენტით, წყლიური გეგმის შესრულების ზღვარს მიუახლოვდნენ ტრესტი „ჰიდრომექანიზაცია" (უფროსი ე. იმატოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ხ. პოვკო) და „ცენტრალიზრესტროის" სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. ბროდინი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. პაცუკევიჩი).

● ენგურჰესის საერთო სიმძლავრე ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე საქართველოში ამჟამად მომუშავე თერმოსადგურების.

● თაღოვანი კაშხალი ოთხჯერ მეტი სიმაღლისა იქნება, ვიდრე სასტუმრო „ივერია".

● ენგურის ზღვა ოცდახუთჯერ უფრო დიდი იქნება, ვიდრე თბილისის ზღვა.

ამჟამად მშენებელთა ყურადღების ცენტრშია მიმდინარე წელს და გიისად ასამუშავებელი ობიექტები. ეს არის ვარდნილჰესები. ამ ობიექტებზე მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. საერთოდ კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენგურჰესის მშენებელთა მთელი კოლექტივი და სუბმოიჯარე ორგანიზაციები აქამდე არნახული ტემპით მუშაობენ. მშენებლობის სამმართველოს მთელი აპარატი ცდილობს დროულად გადაჭრას მთელი რიგი რთული საკითხები. განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობენ მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ი. ბუბნოვი, მთავარი ინჟინერი ფ. ბოლოტნიკოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ბეგიშვილი) — 110,4 პროცენტით, ელექტრომონტაჟის სამმართველო (უფროსი ვ. ბოლოტნიკოვი, მთავარი ინჟინერი ნ. ბეგიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ბოლოტნიკოვი) — 108,6 პროცენტით, ტრანსპორტაჟის სამმართველო (უფროსი ვ. ბოლოტნიკოვი, მთავარი ინჟინერი ნ. ბეგიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ბოლოტნიკოვი) — 106,4 პროცენტით, ავტოტრანსპორტაჟის სამმართველო (უფროსი ი. ვასაძე, მთავარი ინჟინერი ი. ბაგოშვილი, პარტბიუროს მდივანი ბ. მიქელაძე) — 104,1 პროცენტით, ტრანსპორტაჟის ბრიგადა (ბ. ფოფხაძის, ვ. ფრუიძის, ვ. სიგუას, ბ. ჯამბაზიშვილის კომპლექსურმა ბრიგადებმა. მიმდინარე წლის შესამე კვარტალის დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს № 3 და № 6 უბნებმა, რომლებსაც ფ. ადეიშვილი და ლ. მარუაშვილი ხელმძღვანელობენ.

ძირითად ძალოვან კვანძში მთავრდება მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურის შემაერთებელი ნაგებობის ლითონის სამუშაოები. მალე დაიწყება სამანქანო დარბაზის აგება. აქაური კოლექტივი მთავარი ინჟინრის უ. გოჯიაშვილის წინადადებით წარმატებით იყენებს სპეციალურ გამყვან აგრეგატს, რომელმაც სამუშაო საგრძნობლად დაჩქარა, უკვე დამთავრდა გადასაგდები გვირაბის შემაერთებელი ნაწილის გაყვანა და დაიწყო უკუშემაერთებელი გვირაბის მშენებლობა. ძალოვანი კვანძის სამმართველოში კარგ ნაჩვენებლებს აღწევენ ვ. აბესაძის, ა. ივანოვის, ი. ბელაშვილის კომპლექსური ბრიგადები. წარმოების მოწინავეები არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. აბაკელია, ე. კოკუტენი, კ. ფიფია, ვ. ლიეტი და სხვ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მექანიზაციის საამუშაოთა მწარმოებელი კოლექტივი დიდ საქმიანობას ეწევა ენგურჰესის ყველა უბანზე. აქ მოწინავეა ის უბანი, რომელსაც ა. ზვიადაძე ხელმძღვანელობს. უბანმა 9 თვის განმავლობაში დიდი გადაჭარბებით შეასრულა; მაბიჯი ეწესკავატორის ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. სალიმატოვი უძღვება, მესამე კვარტალში 282.000 კუბური მეტრი გრუნტი დაამუშავა.

მოწინავე კოლექტივები გვყავს მშენებლობის ყველა უბანზე. მაგალითად, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" საგზაო მშენებლობის სამმართველოში (უფროსი ვ. ფორფოლაძე, მთავარი ინჟინერი რ. მუნაღარაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. სორდია) მშენებლობის დაწყებიდან დღემდე 800 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური და შიდადამამარე გზები გაიყვანა; საერთო საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ მაღალი ძაბვის ქსელის სამმართველოს (უფროსი ბელიაშვილი, მთავარი ინჟინერი ნარსია, უბნის უფროსი როგავა), ავტოტრანსპორტის სამმართველოს (უფროსი ი. ვასაძე, მთავარი ინჟინერი დ. გაგოშიძე, პარტბიუროს მდივანი გ. მიქენაია), ავტოტრანსპორტელებმა მიმდინარე წლის ცხრა თვეში 13,4 მილიონი ტონა ტვირთი გადაზიდეს, გეგმა კი 11,9 მილიონი ტონის გადაზიდვას ითვალისწინებდა. დაწინაურდნენ № 1, № 3 და № 5 ავტოსატრანსპორტო კატერორები (უფროსები რ. ჭეშურია, ვ. ფრუიძე, ა. ხეიტა); სამმართველოს მოწინავეა მძღოლები არიან: ს. ქარსელაძე, მ. კეშუა, ნ. ფომენკო, რ. ვარგთაგაეა, ვ. სულუხია, ი. ავაშალავა და სხვ. უნდა აღვნიშნოთ ენგურჰესის მშენებლობის ქუთაისის საწარმოო კომბინატის კარგი მუშაობა. ენგურჰესის მშენებლებს კარგად ემსახურება მუშათა მომარაგების სამმართველო (უფროსი ნ. ბერეგოვი). აღსანიშნავია, რომ ენგურჰესელ მშენებლებს დიდ ყურადღებას აქცევენ სამინისტროები, სხვადასხვა უწყებები, მაგრამ მიუხედავად ამ დიდი ყურადღებისა, მშენებლები სათანადოდ მაინც ვერ მარაგდებიან კვანძის პროდუქტებით, სამრეწველო საქონლით.

როგორც ცნობილია, ენგურჰესის მთავარი დამპროექტებელი ორგანიზაცია „თბილისიდროპროექტია". ამ ინსტიტუტის დიდი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგანან გამოცდილი ჰიდროენერგეტიკოსები ი. მღებრიშვილი და ა. ლოსაბერიძე, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მშენებლები დროულად მარაგდებოდნენ. საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. დიდ დახმარებას გვიწევენ ინსტიტუტის მუშაკები ალექსანდრე და გაბრიელ მენაბდეები, შ. მერაბიშვილი, ს. კერესელიძე, ლ. ჯაფეული, ო. ფეიერაგი, ა. ბაგრამიანოვა, გ. ჯილაური, ს. საბაშვილი, მ. ბუზ-ოღლი, რ. ბირაპეტიანი და ბევრი სხვა. მშენებლობის პროცესში ზოგიერთი გაუგებარი საკითხის დროულად გადაჭრის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს სამუშაო დაპროექტების ბანყოფილებას; რომელსაც ინჟინერი ვ. გაბრიჭიძე მეთაურობს. განყოფილებას ქაკავს ისეთი გამოცდილი ინჟინერები, როგორიც არიან მ. მეფარიშვილი, ტ. რურუა სასაოვი, მუსაშვილი, კიკნაძე, მარგარიანი და სხვ. მშენებლები მადლიერების გრძნობითი იხსენიებენ ამერიკაკავასიის რკინიგზის სამმართველოს (უფროსი გ. ქადგაიძე) კოლექტივს, რომელიც შეუფერხებლად გვაწვდის ყველა საჭირო ტვირთს.

ენგურჰესი დამკვრელური მშენებლობაა. მას თავისი რომანტიკა აქვს, რომელსაც ახალგაზრდული შეშფოთება ბადებს. ახალგაზრდობა ენგურჰესის მშენებლობის მძლავრი ბირთვია. აქ მარტო კომკავშირული საგზურით ჩამოსული 529 ახალგაზრდა შრომობს. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მშენებლობის ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტების საქმეს. აგ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი დახმარება, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა გაგვიწიეს არდადეგების პერიოდში. მათ 847,5 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს.

ენგურჰესი საყოველთაო ზრუნვით არის გარემოსილი. მშენებლები ვერძნობთ ამ ზრუნვას და მეტი ენერგიით ეშრომობთ.

დგება მშენებლობის გადამწყვეტი ეტაპი, თანდათან იკვეთება „დიდი ჩიტალღნის" კონკურსები.

მშენებელთა სიტყვა

გეტონი გვირაბში

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1958 წელს მუშაობა დავიწყე ლაჯანურჰესის მშენებლობაზე. 1960-1962 წლებში ხრამჰესის მშენებლობაზე ვმუშაობდი ოსტატად. 1962 წელს ენგურჰესზე ჩამოვედი და სამუშაოთა მწარმოებლად დავიწყე მუშაობა კაშხალმშენის სამმართველოში. 1967 წელს კი გვირაბმშენის სამმართველოს მეექვსე უბნის უფროსად გადამიყვანეს.

უბანი დერივაციული გვირაბის გაყვანა-მობეტონებაზე მუშაობს. 1968 წლის ივლისში უბანმა გვირაბის მობეტონების რეკორდი დამყარა. ერთ თვეში მობეტონეს 120 გრძივი მეტრი დიდი კვეთის დერივაციული გვირაბი, რაც ნორმას დიდად აღემატება.

დღეისათვის მეექვსეუბნელთა მიერ გაყვანილია 25 გრძივი მეტრი გვირაბი და მოპირკეთებულია 30. კოლექტივის წარმატებას თანაბრად სჭედენ მოწინავე მშენებლები ლენინის ორდენოსანი ს. თედეევი, გ. ფრუიძე, ვ. ქარდავა, გ. ხურციძე, ს. დვალიშვილი.

პირველობისათვის ბრძოლა გრძელდება.

ლ. ჯიჯეიშვილი,

ინჟინერი, გვირაბმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის მეექვსე უბნის უფროსი.

ასუანიდან — ენგურზე

მოგთბობარე ადამიანის ცხოვრებას ჰგავს მშენებელი კაცის საქმე. ერთგან მშენებლობას რომ მორჩები, მეორე გელის... პირადად მე მონაწილეობას ვიღებდი ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობაზე ეგვიპტეში. ჩემთან ერთად იყო ჩემი ძმა გიორგიც. 1963 წელს ორივენი ენგურჰესის მშენებლობაზე ჩამოვედით. ამჟამად მე კაშხალმშენის სამმართველოს პირველი უბნის კომპლექსურ ბრიგადას ვხელმძღვანელობ, გიორგი კი ამავე სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანია.

ბრიგადა მეორე წელია გარდამავალ ვიმპელს ფლობს.

კაშხალმშენის სამმართველოს ობიექტებზე მუშაობენ ჩემი უმცროსი ძმები: გერონტი, შოთა და რუბენი. ხუთი ძმა ერთად ვიბრძვით დიდი სინათლისათვის. ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ ენგური ვადაზე ადრე ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში.

ვ. ნემსიწვერიძე,

კაშხალმშენის სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

სამამულო ტექნიკა და მთები

თანამედროვე დიდი მშენებლობა წარმოუდგენელია, თუ არ იქნა მძლავრი ტექნიკა. ენგურჰესის მშენებლებს მექანიზაცია ჰაერივით სჭირდებათ, მიწისმოხრელმა მანქანებმა ენგურჰესზე 50 მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაო უნდა შეასრულონ.

ამიტომ მექანიზაციის სამმართველოს მძლავრი ტექნიკა თითქმის ასი კილომეტრი სიგრძის ფრონტზე შრომობს. დღისით და ღამით, ყოველგვარ ამინდში გეგუნებენ ექსკავატორები, ბულდოზერები, მიწისმოხრელი მანქანები. მათი რიოდენობა და შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა დღითიდღე იზრდება. მაგალითად, 1967 წელს მარტო ექსკავატორებით ამოღებული იქნა 4.325 ათასი კუბური მეტრი გრუნტი, 1968 წელს 6 მილიონი კუბური მეტრი, 1969 წელს 6.700 ათასი კუბური მეტრი, ხოლო მიმდინარე წლის 9 თვეში უკვე 9.300 ათასი კუბური მეტრი.

მანქანების 80 პროცენტი ჩვენთან ელექტრონულია, მათი ძრავების სიმძლავრე რომ გავაერთიანოთ, ეს ელექტროენერგიით ალბათ დიდი ქალაქის მოსახლეობას დაკმაყოფილებდა. ამ დიდ სამანქანო პარკს უნარიანად უძღვება მთავარი მექანიკოსი ჰ. იანჩუკი. ეს ხანშიშესული კაცი წარმოების ნამდვილი ინიციატივიანი მეთაურია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ის კარგი სამსახური, რომელიც ელექტროძრავებისა და მოწყობილობის შეკეთებას შეუფერხებლად აწარმოებს.

სამმართველოს კოლექტივი დიდ ღონისძიებებს ახორციელებს საწარმოო ბაზის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. ეს აუცილებელია, რადგან მშენებლობა თანდათან ფართოვდება, საჭირო ხდება სულ უფრო მეტ სამუშაოთა შესრულება, მაგრამ თუ საწარმოო ბაზის გაფართოება კარგად მიმდინარეობს, შეფერხებები გვაქვს მანქანების ნაწილების მომარაგების საქმეში. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ენგურჰესზე გაიხსნება „საქსოფფტრანსის" ბაზა, რომელიც ტრაქტორისა და ავტომობილის ნაწილებით მოგვამარაგებს.

ა. დიაკოვი,

მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს უფროსი.





სურათზე: მარცხნიდან (პირველი და მეორე სურათი) ძალოვანი კვანძის მიწისქვეშა სამუშაო ოები; შუამი — კაშხალმშენის მარცხენა ნაპირის მშენებელთა საცხოვრებელი მასივი; მარჯვნივ — გვირაბი, საიდანაც გამოვა მდინარე ენგური.

ფოტო ა. სავინისა და ს. კილაძისა.

უფრეტი ყაროვ

ენგურჰესი წარმოადგენს მრავალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რთულ კომპლექსს. ახლა სამუშაოები მიმდინარეობს სათავე ნაგებობიდან დაწყებული (რომელიც სოფელ ჯვარის ჩრდილოეთით 7 კილომეტრზე მდებარეობს) შავ ზღვამდე. კიდევ რამდენიმე წელიწადი, და ხაჭართველოს ენერგეტიკულ სისტემაში ჩაირთვება ენერგეტიკის დიდი წყარო, რომელიც საგრძნობლად გაუმჯობესებს მის ბალანსს.

ამ რთულ, უნიკალურ ნაგებობათა შორის ურთულეს ობიექტად წარმოგვიდგება მისი სათავე ნაგებობა, კერძოდ თაღოვანი კაშხალი. ენგურჰესის კაშხალი შენდება მდინარე ენგურის შედარებით ვიწრო ხეობაში, სადაც ტოპოგრაფიისა და გეოლოგიის ხაფუძვლიანად შესწავლით დადგინდა ასეთი რთული და სპასუხისმგებლო ობიექტის მშენებლობის შესაძლებლობა. ვიდრე გადაწყდებოდა ასეთი დიდი კაშხალის მშენებლობა, ენგურჰესის პირობებში შესწავლილ და გადაწყვეტილ იქნა მთელი რიგი სამეცნიერო საკითხები, რაშიაც მონაწილეობა მიიღო ბევრმა, როგორც სამეცნიერო-საკვლევმა, ისე საპროექტო ორგანიზაციამ.

ეს დიდი სამუშაოები ახლაც ინტენსიურად მიმდინარეობს. ენგურჰესის კაშხალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოში. ასეთი მონაცემებით მსოფლიოში ჯერჯერობით არ აშენებულა არც ერთი ობიექტი.

ამიტომაც არის, რომ უდიდესი



თაღოვანი კაშხალი

ყურადღება ექცევა ყველა პრობლემის გაშუქებას, მათ გადაწყვეტასა და სამუშაოთა ხარისხს.

ენგურჰესისა და განსაკუთრებით კაშხალის მშენებლობა წარმოადგენს დიდ აკადემიას, სადაც ინჟინერს შეუძლია ღრმა ცოდნა და გამოცდილება მიიღოს.

ენგურჰესის კაშხალი წარმოგვიდგება როგორც წამოქცეული თაღი. თაღოვანი ხიდები ბევრია ჩვენში და უფრო მეტი ჩვენს რესპუბლიკის გარეთ, თაღი ბევრ ადგილას, ბევრ ტიპის კაშხალებთან ერთად. ეს ტიპი ასევე ფართოდ გამოიყენება ბეტონის ტექნოლოგიაში. ამ ტიპის ნაგებობა ეფექტურია, ეკონომიური, ადვილად ექვემდებარება ავტომატურ გაანგარიშებას, ადვილია მისი აგება, ადვილია ექსპლუატაცია.

ენგურჰესის კაშხალი 271,5 მეტრია, სიგრძე თხემზე 752 მეტრი. ჭრილში მას აქვს შემდეგი ზომები: თხემზე 20 მეტრი და საფუძველში 54 მეტრი. ასეთივე სიმაღლის გრავიტაციულ კაშხალს საფუძველი ექნებოდა არანაკლებ 170 მეტრისა.

კაშხალის ბეტონი უნდა აკმაყოფილებდეს ბევრ მოთხოვნას. კერძოდ, უნდა ჰქონდეს საკმარისი სიმტკიცე, იყოს წყალგაუმტარი და გამძლე.

ბეტონმა რომ ამ მოთხოვნებს უპასუხოს, იგი დამზადდება ექვსი ფრაქციული ხარისხოვანი მასალიდან, რომელშიც ორ ფრაქციას შეადგენს ქვიშა, ხოლო დანარჩენ ოთხს — ღორღი.

ენგურჰესის კაშხალის ბეტონი დამზადდება სპეციალურ ცემენტზე, რომელიც უმთავრესად ნაკლებ სითბოს გამოყოფს ბეტონის გამაგრების პერიოდში, ამ მოვლენას, თუ მას სათანადო უურადღება არ მიექცა, ბევრი უსიამოვნების მოუტანა შეუძლია. ამიტომ არის გათვალისწინებული, რომ ბეტონი დამზადებისას იქნას გაცივებული სათანადო ტემპერატურამდე, ხოლო მლოკში ჩაწყობის შემდეგ კვლავ გარკვეული დროის განმავლობაში ცივდებოდეს ხელოვნურად. ამისათვის ბლოკში ჩალაგებული იქნება მილების სისტემა, რომელშიც გატარებენ გაცივებულ წყალს. ამით



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ვარდნილაჰესის სადგურის მშენებლობის ხედი.

ნდობა მავალეგს

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდისთანავე, 1968 წელს მუშაობა დაიწყო ძალოვანი ძალების სამმართველოს მეხუთე ოცეულში, პირველად არავითარი პროფესია არ მქონდა. ეკიპირებაში ბიდრომშენებელმა ვალერა აბესაძემ დაარსა ჩემი მასწავლებლობა. მეზიარებდა თავის გამოცდილებას, მასწავლიდა, და მიც მალე დაეუფლი ბეტონირების სპეციალობებს.

ერთი წლის შემდეგ ეკლის ბრიგადირად დამაწინაურეს. ჩემი თანდებებული შრომა, კეთილსინდისიერება და მონდომება დიდად დააფასეს მშენებლებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამორჩიეს. ეს ნდობა უფრო მეტს მავალებს.

ჩვენს ბრიგადას დარჩილ ბეგრებები გაჰყავს. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის დაგამთავრეთ პირველი დარილი ბეგრების გაყვანა. დაგეგეგმეთ მეორე. სულ ზეთი დარჩილი ბეგრებია გასაყვანი. მათი საერთო სიგრძე 2.500 მეტრი იქნება.

ჩვენი სამუშაო ფაფრიესად რთული და შრომატევადია. მაგრამ სიძნელეებს არ ვუშინდებით. მიწის ქვეშ, ალეგეებთან ბედილში ფიდიდება ჩვენი საერთო წარმატება.

შ. აბაკელია,
ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



ეროვნული ინტერესები

ეს ინერგი, ენგურის ეროვნული ინტერესებლები

ანამდვილი პირობებში ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობა ჩქარიდან ფაქტია, ამათ შორის „ბელაზის“ მარკის ასზე მეტი მძიმე ტვირთამწეობის თვითსაცლელი.

ასეთი ტიპის მანქანებმა, რომლებიც ჩვენ ველად ვარ მშენებლობაზე, ეკუსკავატორებთან ერთად კომპლექსური შრომის შედეგად ვადაზე ადრე შეასრულეს მიწისა და ქლის უმარავი სამუშაო ფრანგული ფირმა „ბიერ“ ჩაატარა: ფერმენტაციის გაძლიერებლად გადავიდა რკინიგზის მეორე მხარეზე და ვარდნილაჰესის სამმართველოს ტერიტორიაზე, დაიწყო არხის გაყვანა. ახლა თითქმისდა რამდენიმე მეტრზე დაგვრჩა. კიდევ 300 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოა... ენგურის სადენი არხის გაყვანა დამთავრდება. ეს იქნება ჩვენი შრომითი წვლილი ენგურჰესის მშენებლობის საქმეში.

ვ. სალამატოვი,
მაბიჯი ექსკავატორის ეკიპაჟის მეთაური, სოციალისტური შრომის გმირი.



შ. ბერაია,
დურგალთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

გ. კოკოვი,
№ 2 უბნის მებეტონეთა ბრიგადირი.
ნახ. ვ. კიკნაძისა და ჭ. ბანჯაგიძისა.

ეექსკავატორი ფინიშს უახლოვდება

ჩემი და მაბიჯი ექსკავატორის შრომითი ბიოგრაფიები ერთმანეთს ჰგავდნენ. 1951 წელს, როცა ორკუტჰესის მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა, სწორედ მაშინ დაიწყო მაბიჯი ექსკავატორის დამონტაჟებაც. დამონტაჟების დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა ეკიპაჟი, რომლის მეთაურად მე ამორჩიეს. გადაიარა წლებმა, იცვლებოდნენ მშენებლები, მე და ჩემი ექსკავატორი კი განუყრელი დავრჩით. სადაც ის იყო, მეც იქ ვიყავი.

1963 წელი. მაბიჯი ექსკავატორი და მე ენგურზე „ჩამოვედით“. ათობით ვაგონი დასჭირდა ენგურზე ექსკავატორის „ჩამოყვანას“. დავიწყეთ ენგურის სადინებელი არხის გაყვანა.

როგორც ცნობილია, გადამუშავებული წყალი ახალი არხით, რომლის სიგრძე 24 კილომეტრია, ეკლის ზღვისკენ. აქედან მაბიჯი ექსკავატორით გაყვანილია თითქმის ორი მესამედი, შესრულებულია 4 მილიონამდე კუბური მეტრი მიწის სამუშაო.

1968 წელს ექსკავატორმა „ჩვენთვლო ორიდიო“ ჩაატარა: ფერმენტაციის გაძლიერებლად გადავიდა რკინიგზის მეორე მხარეზე და ვარდნილაჰესის სამმართველოს ტერიტორიაზე დაიწყო არხის გაყვანა. ახლა თითქმისდა რამდენიმე მეტრზე დაგვრჩა. კიდევ 300 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოა... ენგურის სადენი არხის გაყვანა დამთავრდება. ეს იქნება ჩვენი შრომითი წვლილი ენგურჰესის მშენებლობის საქმეში.

ვ. სალამატოვი,
მაბიჯი ექსკავატორის ეკიპაჟის მეთაური, სოციალისტური შრომის გმირი.

ახალი ენერგიით

ცხრამეტი თერჯოლელი კომკავშირელი 1965 წელს საგზურებით ჩამოვედით ენგურჰესის მშენებლობაზე სამუშაოდ. ხაკმაოდ რთული ამოცანა იდგა ჩვენს წინაშე. უნდა აგვშენებინა № 1 ვარდნილაჰესი. ჩვენვე უნდა შეგვექმნა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები, უნდა აგვშენებინა საცხოვრებელი სახლები, კლუბები. ძნელი იყო ყველაფერი ეს ახალბედებისათვის. მაგრამ არ შეგუშინდით ამ სიძნელეებს და დღეს გვიხარია და გვეამაყება, დიდი სინათლისათვის მოლაშქრეთა მრავალთასიანი კოლექტივის წევრები რომ ვართ და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ენგურჰესის მშენებლობის საქმეში.

ამჟამად ვარდნილაჰესის სამმართველოს ბრიგადა უბნის მეებეტონეთა კომკავშირულ ბრიგადას ვხელმძღვანელობ.

დღეისთვის მშენებლობაზე შექმნილია 29 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, 44 პარტიული ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 1200-მდე კომუნისტი. ეს მშენებლობაზე მთლიანად დასაქმებულთა მეათედს შეადგენს. ყველაფერ ამას საერთო ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს მშენებლობის პარტიული კომიტეტი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლების საქმეს. ამ მიზნით მშენებლობაზე შექმნილია 50 სკოლა და სემინარი, სადაც გაერთიანებულია ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი. სწავლების მაღალ დონეზე დაყენების მიზნით პარტიული კომიტეტი რეგულარულად აწყობს პროპაგანდისტთა თათბირ-სემინარს. საუკეთესო პროპაგანდისტად გამოყოფილი არიან გამოცდილი ინჟინერ-სპეციალისტები.

მშენებლობის ბრიგადები პარტიულ ორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ წარმატებით შეასრულონ საწარმოო დავალებანი — საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ბრიგადების საქმიანობა, რომელებსაც ახალგაზრდა კომუნისტები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბაკელია, ვ. აბესაძე, ვ. ნებსაწვერიძე, ს. თედეგეი, ზ. ზარნაძე, ა. კოკიკინი ხელმძღვანელობენ.

კაშხალმშენის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციაში 115 კომუნისტი ირიცხება. ისინი განწილებული არიან ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე. მაგალითად, ვვიორაბგამყვანთა ბრიგადას ხელმძღვანელობს ვ. ნებსაწვერიძე, კაშხალის ქვაბურის სამუშაოებს — ო. ბლიაძე, ამფეთქებელთა ბრიგადას — ვ. შალამბერიძე. მშენებლობის სხვადასხვა უბნებს მეთაურობენ აგრეთვე კომუნისტები ვ. ჯარბაძე, კ. ხასია, ნ. შარტავა, ვ. ბიქავა.

ვარდნილაჰესის სამმართველოშიც გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ კომუნისტები შ. კვეკვესკირი, რ. ყაველაშვილი, ი. ცაცუა, ბ. ჩიტაძე, ი. გადელია, თ. მარკველიანი და სხვ.

მშენებლობის პარტიული კომიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კადრების მოამზადების საქმეს. წელს გათავლა-

სურათზე: ძალოვანი კვანძის მეოთხე უბნის მოწინავე მშენებლები (მარჯვნიდან) უბნის უფროსი ზ. ვაჩაძე, ზეინკალთა ბრიგადირი ლ. კარსლიევი, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ვ. მაგდალინოვი, უბნის მექანიკოსი გ. დუმბაძე, გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ს. მამუჩარაშვილი და გვირაბგამყვანი ს. დგებუაძე.

კომუნისტები გადამწყვეტ უბანზე

ენგურჰესის მშენებლობა უკვე შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. ყოველდღიურად იზრდება მშენებლობის მასშტაბი, სამშენებლო უბნებისა და ობიექტების რიცხვი.

სწორედ ამ გადამწყვეტ პერიოდში მშენებლობაზე დასაქმებული თვითეული კომუნისტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას მეტად დიდი პასუხსაგები ამოცანა — მაქსიმალურად შეიმუშაონ ხელი მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმატებით შესრულებას, დროზე, დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით ამუშაონ ობიექტები, რომლებიც მშენებლობაზე არიც თუ ცოტაა.

დღეისთვის მშენებლობაზე შექმნილია 29 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, 44 პარტიული ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 1200-მდე კომუნისტი. ეს მშენებლობაზე მთლიანად დასაქმებულთა მეათედს შეადგენს. ყველაფერ ამას საერთო ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს მშენებლობის პარტიული კომიტეტი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლების საქმეს. ამ მიზნით მშენებლობაზე შექმნილია 50 სკოლა და სემინარი, სადაც გაერთიანებულია ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი. სწავლების მაღალ დონეზე დაყენების მიზნით პარტიული კომიტეტი რეგულარულად აწყობს პროპაგანდისტთა თათბირ-სემინარს. საუკეთესო პროპაგანდისტად გამოყოფილი არიან გამოცდილი ინჟინერ-სპეციალისტები.

მშენებლობის ბრიგადები პარტიული ორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ წარმატებით შეასრულონ საწარმოო დავალებანი — საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებანი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ბრიგადების საქმიანობა, რომელებსაც ახალგაზრდა კომუნისტები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბაკელია, ვ. აბესაძე, ვ. ნებსაწვერიძე, ს. თედეგეი, ზ. ზარნაძე, ა. კოკიკინი ხელმძღვანელობენ.

კაშხალმშენის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციაში 115 კომუნისტი ირიცხება. ისინი განწილებულნი არიან ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე. მაგალითად, ვვიორაბგამყვანთა ბრიგადას ხელმძღვანელობს ვ. ნებსაწვერიძე, კაშხალის ქვაბურის სამუშაოებს — ო. ბლიაძე, ამფეთქებელთა ბრიგადას — ვ. შალამბერიძე. მშენებლობის სხვადასხვა უბნებს მეთაურობენ აგრეთვე კომუნისტები ვ. ჯარბაძე, კ. ხასია, ნ. შარტავა, ვ. ბიქავა.

ვარდნილაჰესის სამმართველოშიც გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ კომუნისტები შ. კვეკვესკირი, რ. ყაველაშვილი, ი. ცაცუა, ბ. ჩიტაძე, ი. გადელია, თ. მარკველიანი და სხვ.

მშენებლობის პარტიული კომიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კადრების მოამზადების საქმეს. წელს გათავლასწინებულია მომზადდეს ორი ათასი მუშა, ხოლო კვალიფიკაციის ამაღლოს 1500-ზე მეტმა. კარგად არის მოწყობილი საკლასო ოთახები და სასწავლო კაბინეტები კაშხალმშენის, გვირაბმშენის, ძალოვანი კვანძის, ვარდნილაჰესის — მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოებში.

ახალგაზრდა მუშების ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად მუშათა დასახლებაში შენდება კაბინალური საცხოვრებელი სახლები. თითქმის ყველა დასახლებას აქვს საცურაო აუზები, სპორტული მოედნები. მუშათა განკარგულებაშია 10 კლუბი, ამდენივე ბიბლიოთეკა, 7 სამეფალო და რვაწლიანი სკოლა, 14 სპორტული ბილიარდი და ბაკა, 2 ტელევიზორი ყველა ოჯახში.

ენგურჰესი დამკვიდრებული მშენებლობა და, ბუნებრივია, კომკავშირელები გადამწყვეტ უბნებზე. ერიან. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურ დახმარებას გიწევს და მჭიდრო კონტაქტი აქვს მშენებლობის ხელმძღვანელობასთან. საქართველოს კომკავშირის საგზურებით მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში ჩამოვიდა 530 ახალგაზრდა.

ენგურჰესი ჩვენი რესპუბლიკის სიამაყეა. მისი მშენებლობის ორგანიზატორები, მასზე დამოკიდებული ერიან კომუნისტები. ისინი მუშაობენ ყველა გადამწყვეტ უბნებზე.

გ. გუნავა,
საქართველოს კპ ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

კომკავშირული საგზურით

სკოლის კედლებშიგან მესმოდა დიდი სინათლისათვის მოლაშქრეთა შრომითი ჰეროიკა და ბევრჯერ მოიცინებია მეც მათ რიგებში ყოფილიყავი.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დავიუფლე მძღოლის პროფესიას და მაშინვე გადავწყვიტე ენგურჰესის მშენებლობაში ჩემი წვლილი შემეტანა.

1966 წელს კომკავშირული საგზურით ჩამოვედით ენგურზე — ვარდნილაჰესის მშენებლობის სამმართველოში, იქ. სადაც ხულ ცოტა ხნის შემდეგ უნდა ამეშენებინა ჩემი პირველი ორი ბრიგადა. მოსკვლისთანავე ჩამაბარეს 27-ტონიანი „ბელაზის“ მარკის ავტომანქანა და ვეზიდი ქვაღორღს ნაყარი კაშხალისათვის.

მიყვარს ჩემი პროფესია. ყოველ ოჯახში 20 რეისს ვაკეთებ ნაცვლად 15-ისა და ოჯახში გადამაქვს 500 ტონა ტვირთი.

შრომა მიფასდება. ჩემი ყოველთვიური გამომუშავება საშუალოდ 400-500 მანეთს აღწევს. ოჯახით დასახლდი სოფელ რეჩხში. კარგი პირობები გვაქვს.

გ. ლომსაძე,
ენგურჰესის „მშენებლობის პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი.

ეს ეს ეს ეს

ეს ეს ეს ეს ... ეს ... ეს ...

მსოფლიო დღეს

თბომავლები „შოთა რუსთაველი“ და „ბრუზია“ სოხუმის ნავსადგურში.

ფოტო მ. ბარასოვისა.

სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა



საერთაშორისო ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. (საკდესი). გუშინ საღამოს პლენარულ სხდომაზე ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის საკითხზე გამოვიდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელი ჯიუტად ეწინააღმდეგება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებას, ცდილობს გააჭიანუროს არაბული ტერიტორიების ოკუპაცია, დამკვიდრდეს ამ ტერიტორიებზე, თავს მოახვიოს პირდაპირი სამხედრო გავლენის გზით არაბულ ქვეყნებს უსამართლო დამპყრობლური პირობები.

ამის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო ინორციელებენ ახალ ღონისძიებებს, რათა აიძულონ ისრაელის მთავრობა და ის ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მას, გათვალისწინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი მეტი წილი ქვეყნების ნება, რომლებიც მოითხოვენ ახლო აღმოსავლეთში არსებული მდგომარეობის დაუყოვნებლივ და სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას. ახლა ყველასათვის ცხადია, განაცხადა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, რომ ისრაელის აგრესია და სამხედრო პროვოკაციები არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რაც სამ წელიწადზე მეტია გრძელდება, ნაკარნახევია საერთაშორისო იმპერიალისტური წრეების იმ განზრახვით, რომ მოსპონ პროგრესული რეჟიმები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა არაბულ ქვეყნებში, უკუაგდონ ამ ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური განვითარება, შეაჩერონ მათი ძლევამოსილი წინსვლა განთავისუფლებისა და პროგრესისაკენ.

ისრაელის ამ აგრესიულ პოლიტიკას აქტიურად უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები. ვაშინგტონმა გააფართოვა თავისი ანტიარაბული გარიგება ტელ-ავივთან იმით, რომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს ისრაელს „ფანტომის“ თვითმფრინავების ახალი დიდი პარტია, და მისცა მას ახალი დიდი კრედიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შესასყიდად. ხოლო ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს კონსულტაციების დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ამ თათბირის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ოფიციალურ განცხადებებსა და პროპაგანდაში ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნავს, რომ საჭიროა შესრულდეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია და უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობიანი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, სინამდვილეში კი მხარს უჭერს ისრაელის აგრესიულ ექსპანსიონისტურ გეგმებს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, განაგრძო ი. ა. მალიკმა, იგი გადაჭრით მოითხოვდა და მოითხოვს არაბული ქვეყნებისათვის მხარდაჭირას, რომლებიც ისრაელის შეიარაღებული თავდასხმის მსხვერპლი გახდნენ.

საბჭოთა მთავრობამ ამასთანავე არაერთხელ, ნათლად და გარკვეულად განაცხადა, რომ სსრ კავშირი გადაჭრით გმობს ისრაელის აგრესიას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ და გამოდის არა ისრაელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ იმ აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ ამ ქვეყნის მმართველი წრეები.

ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა, თქვა ი. ა. მალიკმა, მუქარითა და საომარი ავანტიურებით კი არ დამყარდება, არამედ იმით, რომ მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან სრულად იქნეს გაყვანილი ისრაელის ჯარები.

ისრაელის აგრესიული პოლიტიკა გადაჭრით დაგმეს თავიანთ გამოსვლებში ავადანეთის, ტანზანიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პაკისტანის, მალაიზიის წარმომადგენლებმა. თითქმის ყველა დელეგატმა, რომლებიც კამათში გამოვიდნენ.

ფაქტები

დანიშნეს ვიცე-პრეზიდენტები

● კაირო, 2 ნოემბერი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, პრეზიდენტს დეკრეტით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტებად დანიშნეს მუსეინ ელ-შაფი და ალი საბრი.

მოტაცებული გენერალი გაიქცა

● ნიუ-იორკი. 2 ნოემბერი. (საკდესი). ეკვადორის სახელმწიფო-საპაერო ძალების სარდალი გენერალი ს�ar როონ სანდოვალი გაიქცა თავის გამტაცებლებს, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგანგებო. 27 ოქტომბერს ეკუნრმ პირთა ჯგუფმა იგი მოიტაცა და დამალა მიტოვებულ სახლში.

დაიღუპნენ ნარკოტიკებისაგან

● ვაშინგტონი. 2 ნოემბერი. (საკდესი). ნარკომანია სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ამერიკელ ჯარისკაცებს შორის ვიეტნამში. როგორც აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების საიერონის სამხედრო სარდლობის სპეციალურ მემორანდუმში, მარტო 1970 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალებების, კერძოდ ჰეროინის ხმარების შედეგად დაიხოცა 89 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. 700-ზე მეტი ნარკომანი ჰოსპიტალშია.

გრიგალი ბრაზილიაში

● რიო-დე-ჟანეირო. 2 ნოემბერი. (საკდესი). ათასზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა ბრაზილიის ქალაქ მედეიროს ნეტონში (მაიის შტატი) ძლიერი კოკისპირული წვიმისა და გრიგალის შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ამ ქალაქს. ქალაქი პრაქტიკულად მოწყვეტილია გარე სამყაროს.

ხანძრის მსხვერპლნი

● პარიზი. 2 ნოემბერი. (საკდესი). 142 კაცი დაიღუპა ხანძრის შედეგად, რომელიც დამით გაჩნდა ახალგაზრდობის დასასწავლი საფრანგეთის ქალაქ ბრენობლის ახლოს. ხანძარი დაიწყო ნაშუაღამევის ორ საათზე, როცა დარბაზში ჯერ კიდევ იყო ორასამდე კაცი, უმთავრესად 17-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. სპეციალისტთა აზრით, ხანძრის მიზეზი გახდა მოკლე ჩართვა ან სიგარეტის ნამწვი. ყველა სათადარიგო კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა. პანიკის შედეგად დამსწრეთაგან მხოლოდ ექვსა გადარჩა, ვინც მთასწრო ერთადერთი ვიწრო კარიდან გამოსვლა.

ფაქტები

ოლიმპიადა მექსიკაში

ჭადრაკის მერიდიანებზე

სსრ კავშირის თასზე

ბუშინ მოსკოვში დაიწყო ჭადრაკში სსრ კავშირის თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპი. მონაწილეობენ დ. ბრონშტეინი, ვ. სავონი, ა. შმიტი და ლ. ალბურტი. შეჯიბრება 13 ნოემბრამდე გაგრძელდება.

სოფის ტურნირზე

სოფია დამთავრდა გროსმაისტერთა და ოსტატთა საჭადრაკო ტურნირი. საერთო ანგარიშია 51,5:46,5 გროსმაისტერთა სასარგებლოდ. გროსმაისტერთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მ. ტალმა — 10,5 ქულა, ოსტატთა შორის — გ. კუზმინმა — 9,5 ქულა.

თბილისის ჩემპიონატი

თბილისი ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში პირველი სამი ადგილი გაიკვეს შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილემ რ. ჯინჯიხაშვილმა, გ. ციხელაშვილმა და ზ. მეკაძემ — 8,5-8,5 ქულა. ნ. ალექსანდრიამ, რომელიც კონკურსგარეშე გამოდიოდა 11-დან 7 ქულა შეაგროვა.

მსოფლიო რეკორდი

ახალგაზრდა შტანგისტთა მოსკოვის საქალაქო შეჯიბრებაზე ი. კოზინმა (პირველი მძიმე წონა) აჭიმა 200,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ოლიმპიადა მექსიკაში

ისევ დამარცხება

ცსკა (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0). მოსკოვი. 1 ნოემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ა. ივანოვი (ლენინგრადი).

ცსკა — პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, ვოიტენკო, კაპლიჩნი, კუზნეცოვი (უტკინი), დოლგოვი, კაპეკინი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, დუდარენკო.

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტიკაძე, ასათიანი, მეტრეველი, ბ. ნოდია, ლ. ნოდია.

ეს იყო დინამოელთათვის უკანასკნელი მატჩი მეტოქის მოედანზე, ამასთანავე უჩვეულო პირობებში — თოვლსა და ყინვაში. ისეთ დამარცხება, რიცხვით მეათე, დაიკარგა საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის ყოველი შანსი. მაგრამ აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ამ შეხვედრაში თბილისელებს ცუდი თამაში არ უჩვენებიათ და ვერც ვერაფერს ვუსაყვედურებთ. მართალია, დასაწყისში არშიელ ფეხბურთელებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ბრძოლა გათანაბრდა. რაც შეეხება მეორე ტაიმს, იგი დინამოელებმა მართლაც ინიციატივიანად წარმართეს.

ის ერთადერთი გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გატანილ იქნა მე-8 წუთზე. მისი ავტორი გახლდათ დუდარენკო.

კიეველთა ფინიში

კვირას უმაღლესი ლიგის გუნდების კიდევ ერთი მატჩი შედგა ფეხბურთში. კიევის დინამოელები საკუთარ მოედანზე თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსთან“. შეხვედრის შედეგია 3:2 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ამრიგად, კიევის „დინამომ“ პირველმა დაამთავრა საკავშირო ჩემპიონატი. მოგებული 33 ქულა.

ასპარეზობათა პანორამა

მოტოგზოლი. დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება მოტობოლში. ჩემპიონი გახდა ელისტის გუნდი „კომეტა“.

მძლეოსნობა. ალუშტაში ამოიწურა სოფლის მძლეოსანთა საკავშირო ასპარეზობა. გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — უკრაინა, ესტონეთი, რსფსრ.

მოტორბოლა. კიშინიოვის მახლობლად შედგა „დუნაის თასის“ გათამაშების მეოთხე ეტაპი მოტორბოლაში. წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს გ. მოისეევს, პ. რულევსა და ვ. კავინოვს ხვდათ.

შეხბურთი. დნეპროპეტროვსკში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „დნეპრისა“ და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის. გამარჯვეს მასპინძლებმა 4:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 8 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	31	18	7	6	48-21	43
ცსკა	30	18	5	7	43-17	41
„სპარტაკი“ (მ.)	31	12	14	5	43-24	38
„ზარია“ (ვ.)	31	10	14	7	27-24	34
„ტორპედო“ (მ.)	31	12	10	9	34-34	34
„დინამო“ (კ.)	32	14	5	13	36-32	33
„დინამო“ (თბ.)	30	12	8	10	40-29	32
სკა (როსტ.)	31	8	15	8	27-29	31
„დინამო“ (მნ.)	31	10	10	11	31-28	30
„არარატი“ (ერ.)	30	10	8	12	29-31	28
„პახტაკორი“ (ტ.)	31	8	12	11	27-44	28
„შახტიორი“ (დ.)	31	10	8	13	31-48	28
„ნეფტჩი“ (ბ.)	30	8	11	11	23-25	27
„ზენიტი“ (ლ.)	31	10	7	14	30-39	27
„ჩერნომორ.“ (ო.)	31	8	9	14	24-37	25
„ტორპედო“ (ქ.)	31	6	11	14	23-38	23
„სპარტაკი“ (ორ.)	31	7	8	16	30-46	22

ოლიმპიადა

გამარჯვება, ფრე

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში ბათუმის „დინამომ“ საკუთარ მოედანზე დაამარცხა სტავროპოლელი თანაკლუბელები 2:1, გორის „დილასა“ და ვოლგოგრადის „სტალის“ შეხვედრის შედეგია 0:0.

„კომუნისტის“ კორ.

სასარგებლოა ვიცოდეთ

რძე და ჯანმრთელობა

რძე, თქმა არ უნდა, შესანიშნავი პროდუქტია. ბუნების ყველა ძღვენთა შორის მის განსაკუთრებულ მდგომარეობას აღნიშნავდა დიდი ფიზიოლოგი ი. პ. პავლოვი. მეცნიერი გამოჰყოფდა იმას, რომ რძე და მისი შემადგენელი ნაწილები განსაკუთრებით ადვილად შესათვისებელია. მაგალითად, ამ პროდუქტის აზოტს პურის აზოტზე უკეთაც კი შევითვისებთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია რძის თვისება—გამოიწვიოს საჭმლის მომნელებელი აპარატის მუშაობა. რძის ცილების შეთვისებაც ჩვენს სხეულში ჭეშმარიტად რეკორდულად ხდება—98 პროცენტით. ხოლო სწორედ ცილებს პროდუქტის დანარჩენ ინგრედიენტებს (ცხიმებს, რძის შაქარს, მარილებს) შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რძეში ისინი საოცრად სრულფასოვანი არიან — შეიცავენ ამინმჟავათა მთელ საჭირო ნაკრებს.

რძე უმნიშვნელოვანესი მინერალური მარილების — კალციუმისა და ფოსფორის მდიდარი წყაროა. კვების პროდუქტებში კალციუმის ფორმებიდან ყველაზე უკეთ შეითვისებთ სწორედ რძის კალციუმს.

რაც უფრო სუფთაა რძე მოწველის შემდეგ, მით უკეთესია მისი გემო, მით უფრო დიდხანს ინახება იგი და მით უფრო იშვიათად შეიძლება გახდეს ნაწლავების დაავადებათა მიზეზი. ეს უნდა ახსოვდეთ უწინარეს ყოვლისა სარძეო-სასაქონლო ფერმების მუშაკებს.

ძროხის რძე ყოველთვის შეიცავს ამა თუ იმ რაოდენობით ადამიანისათვის უვნებელ, ავადმყოფობის არგამოწვევ მიკროორგანიზმებს. მაგრამ თუ წველის დროს სასტიკად დაცული არ არის ჰიგიენური წესები, მაშინ გარეთა წყაროებიდან (ძროხის ჯიქნიდან და ტყავიდან, საკვებიდან, ცუდად გარეცხილი ჭურჭლიდან) პროდუქტში შეიძლება ეტანილ იქნას მავნე მიკრობები, ავადმყოფობათა აღმძვრელები. ცხოველთა თვით ორგანიზმს, ბუნებრივია, ამაში ბრალი არ მიუძღვის, რძის გაჭუჭყიანება კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში საქმის ცუდი ორგანიზაციის პირდაპირი შედეგია.

რძის მიკროფლორის შემადგენლობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ცხოველთა შენახვის პირობებიც. მაგალითად, როცა ძროხები ბაგურ კვებაზე არიან, პერსონალს უფრო უჭირს დაიცვას სუფთაობე, ვიდრე საძოვარზე კვებისას. ამას უნდა ვითვალისწინებდეთ განსაკუთრებით ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში, როცა იზრდება ნაწლავთა ინფექციების აღმძვრელთა იერიშები, რადგან რძე ფრიად ხელსაყრელი არეა მათი არსებობისა და გამრავლებისათვის. წლის ამ პერიოდში უფრო სასტიკი უნდა გახდეს ჰიგიენური მოთხოვნები მეცხოველეებისადმი, გაძლიერდეს კონტროლი ფერმებში.

სითბოში დაუშვებელია რძისა და რძის პროდუქტების დიდხანს შენახვა, კერძოდ, ოთახის ტემპერატურაზე, ფარფოდ უნდა ვიყენებდეთ თვითეულ მეუონეობაში არსებულ ყველა საშველ აგრეგატს და დაუყოვნებლივ ვაცივებდეთ მთელ ნაწველს—4-6 გრადუსამდე.

ზოგჯერ სულ ახალი რძე საკმაოდ მალე ამეკვდება. ეს ხდება, როცა პირუტყვი ძოვს სველ მდელოზე, სადაც ბარობს მეკვე, კალციუმით ღარიბი მარცვლოვანები. საკვებში ამ მარილის ნაკლებობის გამო ძროხის სარძეო ჯირკვალი წარმოქმნის უფრო მეკვე კაზეინს, იგი გათბობას ვერ იტანს და რძე უფრო მალე დედდება. რძის მეკვიანობის ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს რძის მეკვას ბაქტერიების განვითარებასთანაც.

პროდუქტის მოთესილობის შემცირებას ხელს უწყობს თბური დამუშავება. ხანმოკლე სამრეწველო პასტერიზაციისას (გათბობა 75-78 გრადუსამდე) 20 წამის განმავლობაში) რძეში მობინადრე მიკროორგანიზმების რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს, ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები იღუპებიან, მაგრამ ზაფხულშემოდგომის თვეებში პასტერიზებული რძე მაინც უნდა ავადუღოთ.

უკანასკნელ წლებში რძის ქარხნებში სულ უფრო ფართოდ იყენებენ სტერილიზაციის წესს. რძეს ჯერ 2 წამს აჩერებენ 130-135 გრადუს ტემპერატურაზე, შემდეგ, ბოთლებში რომ ჩამოასხამენ, კვლავ დაამუშავებენ სითბოთი და, ბოოლოს, თანდათან აცივებენ 30 გრადუსამდე. სტერილიზებული რძე მაღალი თვისებებით განირჩევა — უფრო დიდხანს ინახება, ხოლო კვებითი ღირებულებით, საგამოვნო თვისებებით და შეთვისების უნარით პასტერიზებულს არ ჩამოუვარდება.

ბევრ საწარმოში მუშებს რძეს აძლევენ. ზაფხულისა და შემოდგომის თბილ დღეებში, თუ რძე მოტანილია ბიდონებით, მისი ადუღება დარიგების წინ სავალდებულოა.

დაბეჯითებით რეკომენდებულია ბერეგი დროებით (სანამ მთლიანად არ არის მოხსნილი მწვავე და განსაკუთრებით საშიში ნაწლავთა ინფექციების გავრცელების საფრთხე) ხელი აავიოოთ იმაზე, რომ ვიყიდოთ არაპასტერიზებული რძიდან მიღებული ხაჭოს, თუ ჯერ ლდასმით არ მოვახდინეთ მისი თერმული დამუშავება.

ვ. ბუბროვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ფაქტები

ერაკლეს II-ის ბიბლიოთეკა

ბუენოს-აირესი. ბუენოს-აირესში, ინდიელ ბავშვთა ბაღში, ერაკლეს II-ის ბიბლიოთეკა. ბაღის ბავშვებს ეცნობა ინდიელ ბავშვთა ცხოვრებას, ეზიარებიან ინდიელ ბავშვთა ტრადიციებს, ეცნობიან ინდიელ ბავშვთა ფოლკლორს